ხელშეკრულება №2016/22
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „29" „იანვარი" 2016 წ.

სსიპ „სმართ ლოჯიქი", შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი მეჟლუმიანის სახით და შპს „კავკასუს ონლაინი", შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი კომერციული დირექტორის ნიკოლოზ ჭიაურელის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის №1805 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ყველა დანართით და დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. ხელშეკრულების ღირებულება - მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ჩათვლით, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის;

1.3. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ინსპექტირება - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან ოპტიკური არხებით მომსახურების (CPV-72720000) სახელმწიფო შესყიდვა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2'000.00 (ორიათასი) ლარს.

3.2. გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ოპტიკური არხებით მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების დანართი №1 და დანართი №2-ის შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოახდინოს მომსახურების შეზღუდვა იმ შემთხვევაში თუ:

ა) არსებობს ფორს-მაჟორული გარემოებები;

ბ) არსებობს ტექნიკური გაუმართაობა და წარმოებს პროფილაქტიკური სამუშაოები, რომლის შესახებ 3 (სამი) დღით ადრე უნდა შეატყობინოს შემსყიდველს.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 5. ინსპექტირება

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2. ინსპექტირებას განახორციელებენ სსიპ „სმართ ლოჯიქის" სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ქსელის უფროსი ადმინისტრატორი და ამავე დეპარტამენტის ქსელის ადმინისტრატორი, რომლებიც უფლებამოსილები არიან ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

5.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოაჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

მუხლი 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: სსიპ „სმართ ლოჯიქის" საკუთარი სახსრები.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთ,ვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398- ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. ამ ხელშეკრულების 11.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადაწყვეტის მიზნით, მხარეებს შეუძლიათ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

მულხი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 1 თებერვლიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „სმართ ლოჯიქი",	შპს „კავკასუს ონლაინი",
წარმოდგენილი დირექტორის	წარმოდგენილი დირექტორის
მოვალეობის შემსრულებლის	ნიკოლოზ ჭიაურელის სახით,
გიორგი მეჟლუმიანის სახით,	მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71,
მისამართი: თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,	ტელეფონი: 220 00 00,
ტელეფონი: 240 51 60,	საბანკო რეკვიზიტები:
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.	ანგ. №GE21TB1189136020100008,
№GE24NB0330100200165022,	სს „თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,	სკ - 211380833
სკ - 206350599	
---	---

ფასების ცხრილი

№	მომსახურება	ჩართვის მიმართულება		მომსახურების გაწევის ვადა	მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	პირდაპირი ოპტიკური ჩართვა (ოპტიკური არხის იჯარა)	რკინიგზის ტელეკომი ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. 15	სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 1	01.02.2016 – 29.02.2016	700
2			სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის ქ. 2		300
3			სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ქ. თბილისი, წერეთელის გამზ. 67ა		400
4		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. 12	თბილისის იუსტიციის სახლი ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 2		200
5	ოპტიკური არხით VPN ჩართვა	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ა	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. 9		250
6			სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ქ. თბილისი, აბაშიძის ქ. 68		150

შემსყიდველი:
სსიპ „სმართ ლოჯიქი“,

მიმწოდებელი:
შპს „კავკასუს ონლაინი“,

ტექნიკური დავალება

ოპტიკური არხებით მომსახურება:

არხის დაზიანების შემთხვევაში დაზიანების აღმოფხვრა უნდა მოხდეს არა უგვიანეს შემთხვევის დაფიქსირებიდან 4 საათის განმავლობაში (დილის 09:00 საათიდან საღამოს 21:00 საათამდე, კვირაში 7 დღე). არასამუშაო საათებში დაფიქსირებული პრობლემა უნდა მოგვარდეს არაუგვიანეს მომდევნო დღის 10:00 საათისა.

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მხარდაჭერის სამსახურის ფუნქციონირება, რომლის სრული რეკვიზიტებიც (ტელეფონი, ელ ფოსტა და ა.შ) უნდა აცნობოს შემსყიდველს და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა 24 საათის განმავლობაში მომსახურების გაწევის სრულ პერიოდში.

1. პირდაპირი ოპტიკური ჩართვა (ოპტიკური არხის იჯარა) შემდეგი მიმართულებებით:

ა) რკინიგზის ტელეკომი (ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. 15) - სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 1);

ბ) რკინიგზის ტელეკომი (ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. 15) - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის ქ. 2);

გ) რკინიგზის ტელეკომი (ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. 15) - სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 67ა);

დ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. 12) - თბილისის იუსტიციის სახლი (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 2).

ოპტიკური ჩართვები უნდა დაბოლოვდეს არსებულ აპარატურაზე. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს კაბელის დამაბოლოებელი სამუშაოების ჩატარება და ჩართვისათვის შესაბამისი ოპტიკური პაჩკორდისა და ოპტიკური მოდულის მოწოდება ორივე მხარეს. მოწოდებული მოდულები თავსებადი უნდა იყოს Cisco-ს ქსელურ კომუტატორებთან.

2. ოპტიკური არხებით VPN ჩართვა:

№	ობიექტის დასახელება	ობიექტის მისამართი	გამოყოფილი პორტის სიჩქარე	მინიმალური გარანტირებული სიჩქარე
1	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. 9	100Mb	100Mb
2	სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	ქ. თბილისი, აბაშიძის ქ. 68	100Mb	30Mb

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ჩამოთვლილი ოფისების ჩართვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობამდე (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ᵃ).

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ოპტიკური კონვერტორებისა და შესაბამისი ოპტიკური პაჩკორდების საკუთარი ხარჯებით მოწყობა.

ჩართვისათვის მიმწოდებელმა უნდა გამოიყენოს შიდა (არა გლობალური) IP მისამართები და ჩართვის ტექნოლოგია MPLS-L2/L3 VPN-ი.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მოთხოვნილი მინიმალური სიჩქარის მიწოდება 90% დატვირთვისას არაუმეტეს 20 მილიწამი დაყოვნებით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „სმართ ლოჯიქი“,	შპს „კავკასუს ონლაინი“,
----------	----------